

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლუკა ბზუკაშვილი

მოთხოვნების და ვალდებულებების ანალიზის საკითხები
შპს „იფქლის“ მაგალითზე

სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი

ლია კოზმანაშვილი

თბილისი

2020

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი 1. მოთხოვნების და ვალდებულებების არსი და ანალიზის ამოცანები	6
1.1 მოთხოვნის არსი და კლასიფიკაცია.....	6
1.2 ვალდებულებების არსი და კლასიფიკაცია.....	8
1.3 მოთხოვნების და ვალდებულებების ანალიზის საინფორმაციო წყაროები.....	10
თავი 2. შპს „იფქლის“ მოთხოვნების ანალიზის შედეგები	12
2.1 შპს „იფქლის“ მოთხოვნების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი	12
2.2 სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანალიზის შედეგები.....	22
თავი 3. შპს „იფქლის“ ვალდებულებების ანალიზის შედეგები	26
3.1. შპს „იფქლის“ ვალდებულებების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი.....	26
3.2. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ანალიზის შედეგები	38
3.3 სასესხო ვალდებულებების ანალიზი	43
დასკვნა	47
გამოყენებული ლიტერატურა	48
დანართი.....	50

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ვალდებულებების ანალიზისა და სრულყოფის ძირითადი ასპექტები.

ნაშრომის პრაქტიკულ ნაწილში შპს „იფელის“ 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით განხილულია ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ვალდებულებების მდგომარეობის შეფასების, ანალიზისა და სრულყოფის თეორიული საკითხების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

Anotation

„Issues of requirements and obligations analysis on the example of Ltd „Ipkli” ”

The master's work examines the main aspects of the analysis and improvement of the requirements and responsibilities of the organization.

Based on the 2017 year's financial statements of ltd „ Ipkli "in the practical part of the work, the possibilities of practical application of theoretical questions of evaluation, analysis and improvement of the requirements and responsibilities of the organization are discussed, also relevant conclusions are drawn.

Luka Bzakashvili

შესავალი

“საწარმოს მოთხოვნებისა და ვალდებულებების დროული დაფარვის უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოს გადახდისუნარიანობაზე და საერთოდ, ფინანსურ სტაბილურობაზე. ამიტომ, მათი მაღალი ხარისხით მართვა, კონტროლი და ანალიზი ერთ-ერთი არსებითი ხასიათის მიმართულებაა საწარმოს ფინანსურ მენეჯმენტში.“⁴ აქედან გამომდინარე, დღესდღეობით ფინანსური ანალიზის ამ ნაწილის განხილვა აქტუალურია.

ნაშრომის მიზანია შპს „იფქლის“ მაგალითზე მოთხოვნების და ვალდებულებების ანალიზის მნიშვნელოვნების წარმოჩენა.

ნაშრომის ამოცანაა მოთხოვნების და ვალდებულებების შესახებ თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით შპს „იფქლის“ ფინანსური მდგომარეობის შესწავლა.

შესწავლის საგანია საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და მათი ანალიზი.

საანალიზო ობიექტს წარმოადგენს შპს „იფქლი“.

ძირითად მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს სახელმძღვანელოები, სტატიები და ფინანსური ანგარიშგება.

თავი 1. მოთხოვნების და ვალდებულებების არსი და ანალიზის ამოცანები

1.1 მოთხოვნის არსი და კლასიფიკაცია

“მოთხოვნები ანუ დებიტორული დავალიანებები წარმოიშვება სხვადასხვა მიზეზით. ეს შეიძლება იყოს: სავაჭრო მოთხოვნა მოკავშირე საწარმოს მიმართ, მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ, მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან, მოთხოვნები მიწოდებაზე და მომსახურებაზე წინასწარ გადახდილ ხარჯებზე. ვადის მიხედვით დებიტორული დავალიანება შეიძლება იყოს:

- მოკლევადიანი (ერთ წლამდე ვადით) და
- გრძელვადიანი (ერთ წელზე მეტი ვადით).”²

“საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა შეიძლება განხორციელდეს როგორც იმავდროული გადახდით, ასევე შემდგომი გადახდის პირობით, რომელსაც კრედიტით რეალიზაცია ეწოდება. ამის საფუძველზე მიმწოდებლისათვის წარმოიქმნება დებიტორული დავალიანება, ანუ მოთხოვნა, ხოლო მყიდველს ეწოდება დებიტორი.”⁶

“მოთხოვნები არის ისეთი არაწარმოებული ფინანსური აქტივები (ბასს 39, მუხლი 9), რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. იგი არის ფულადი აქტივი. ფულადი აქტივები მოიცავს ფლობილ ფულს და ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფულადი თანხის სახით მისაღებ აქტივებს. მოთხოვნა არის განსაზღვრადი ფულადი თანხის სახით მისაღები აქტივი.

აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც არსებობს ყველა შემდეგი პირობა:

- ბაზარზე არსებული საქონელი ერთგვაროვანია;
- როგორც წესი, ყოველთვის არსებობენ დაინტერესებული მყიდველები და გამყიდველები;
- ფასები ცნობილია საზოგადოებისათვის.

ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება ფინანსური აქტივები, ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები.

არსებობს რამდენიმე სახის მოთხოვნები:

- ჩვეულებრივი
- დარიცხული
- სათამასუქო
- საიჯარო
- სხვა მოთხოვნები.

თამასუქით განხორციელებული ოპერაციები

თამასუქით განხორციელებული სამეურნეო ოპერაციები, როგორცაა:

- აქტივების მიწოდება,
- მომსახურების გაწევა,
- სესხთან დაკავშირებული ოპერაციები და ა.შ.

ეკონომიკური შინაარსიდან და ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, შეიძლება დაიყოს მოკლევადიან და გრძელვადიან სათამასუქო მოთხოვნად და/ან ვალდებულებად. როგორც წესი, თამასუქით განხორციელებული სამეურნეო ოპერაციები უზრუნველყოფილი უნდა იყოს აქტივებით. საქართველოში დღევანდელი ეკონომიკური რეალობის ფონზე, მიგვაჩნია, რომ ეს აუცილებელიც არის. თუმცა მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში თამასუქით განხორციელებული სამეურნეო ოპერაციები უზრუნველყოფის თვალსაზრისით არ საჭიროებს ცალკეულ გარანტიებს. რაც უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება საწარმოს იმიჯს და მის მაღალ რეპუტაციას.”⁵

1.2 ვალდებულებების არსი და კლასიფიკაცია

“საწარმოს გააჩნია აქტივების დაფინანსების საკუთარი და მოზიდული წყაროები. ვალდებულებები წარმოადგენს მოზიდულ წყაროებს. ვალდებულებების წარმოქმნის წინაპირობა შეიძლება იყოს:

- სავაჭრო კრედიტი,
- სესხების აღება,
- სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება,
- ფინანსური ლიზინგის აღება,
- გასაცემი სარგებლის დარიცხვა და ა.შ.

ვალდებულებები არის საწარმოს მოვალეობა სხვა სუბიექტების მიმართ, გადაუხადოს მათ გარკვეული თანხა. ეს არის წარსული სამეურნეო ოპერაციების შედეგი და მათი შესრულება იწვევს საწარმოს აქტივების შემცირებას.”⁴

“მოთხოვნების მსგავსად, ვალდებულებებიც იყოფა გრძელვადიან და მოკლევადიან (1 წელზე ნაკლები ვადის) ვალდებულებებად. მნიშვნელოვანი არის ბალანსში გრძელვადიანი ვალდებულებებიდან მიმდინარე ნაწილის გამოყოფა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) განასხვავებს სამი სახის ვალდებულებას:

- ფაქტიური
- შეფასებითი (მოსალოდნელი)
- პირობითი ვალდებულებები.

ფაქტიური ვალდებულებების წარმოქმნის საფუძველია ხელშეკრულებები, კონტრაქტები ან კანონმდებლობა. მათი ზუსტად გაანგარიშება შესაძლებელია.

ფაქტიური ვალდებულებებია:

- სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები
- მიღებული ავანსები

- გაცემული თამასუქები
- დარიცხული ხელფასი
- გადასახდელი დივიდენდები
- გადასახდელი დღგ და აქციზი
- გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი
- აღებული სესხები.

შეფასებითი (მოსალოდნელი) ვალდებულებების ზუსტი თანხის გამოთვლა შესაძლებელია ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდეგ. მათ მიეკუთვნება:

- ქონების გადასახადი
- საგარანტიო ვალდებულებები
- შვებულების ანაზღაურება და სხვა.

პირობითი ვალდებულება არ არის აღიარებული ვალდებულებად . იგი არის შესაძლო მოვალეობა, რომელიც წარსული მოვლენების შედეგად შეიძლება მომავალში წარმოიშვას ან არ წარმოიშვას. მისი ზუსტი თანხის გამოთვლა შეუძლებელია. პირობითი ვალდებულების მაგალითია სასამართლოს სარჩელი, რომელიც შეიძლება აღიძრას საწარმოს წინააღმდეგ გარკვეული შეთანხმების შესრულების ან შეუსრულებლობის შემდეგ.

გამოიყოფა შემდეგი სახის ვალდებულებები:

- ჩვეულებრივი
- სათამასუქო
- დარიცხული
- საგადასახადო ვალდებულებები
- აღებული სესხები
- გამოშვებული ობლიგაციები

1.3 მოთხოვნების და ვალდებულებების ანალიზის საინფორმაციო წყაროები

უიმედო დავალიანებების პრევენციის მიზნით, საწარმოებმა უნდა შეიმუშაონ სწორი სავაჭრო-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს მყიდველის გადახდისუნარიანობის დადგენას შემდეგი გზებით:

- ინფორმაციის მოპოვება ფირმის საქმიანი მდგომარეობის შესახებ
- მყიდველი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ანალიზი
- საქონლისა და ანგარიშ-ფაქტურის დროული მიწოდება
- კრედიტუნარიანობის შეფასება ქულების მეთოდით
- რეკომენდაციები საბანკო სექტორიდან; ინფორმაციის მოპოვება კონკურენტებიდან, სავაჭრო აგენტებიდან, საკრედიტო ასოციაციებიდან.

კერძოდ:

1. შესაძლებელია თხოვნა პოტენციური მყიდველისთვის, დაასახელოს ორი არსებული მომწოდებელი. რომლებიც დაადასტურებენ მის გადახდისუნარიანობას.
2. პოტენციური კლიენტის თანხმობის საფუძველზე ბანკიდან ინფორმაციის მიღება მისი გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნით; საკრედიტო ასოციაციებისა და სააგენტოების დაქირავება კლიენტის გადახდისუნარიანობის შესახებ რეგულარული ინფორმაციის მისაღებად; ამ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ასევე სავაჭრო აგენტებისა და კონკურენტებისაგან, ისინი ხშირად უცვლიან ამ ინფორმაციას ერთმანეთს.
3. კლიენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად აუცილებელია საწარმოს მინიმუმ ბოლო სამი წლის ფინანსური ანგარიშგების ანალიზი;
4. გადახდისუნარიანობის შეფასება შეიძლება ალთმანის კრედიტუნარიანობის ფორმულით, ეს მეთოდი დიდ დანახარჯებს არ მოითხოვს”⁴.

“პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მყიდველი ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას საწარმოს წინაშე, ვერ იხდის საქონლის ღირებულებას. ასეთი მყიდველების მიერ ვადაზე გაუნაღდებელი ანგარიშები უიმედო და საეჭვო მოთხოვნებს წარმოადგენს. თუ საწარმოს საკმარისი მტკიცებულება გააჩნია იმის შესახებ, რომ დებიტორი ვერ შეძლებს დავალიანების გადახდას, მან ასეთი მოთხოვნა უნდა გააუქმოს და ფინანსურ ანგარიშგებაში არ უნდა ასახოს ის მოთხოვნები, რომელთა მიღება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

მოთხოვნის უიმედოდ აღიარების საკმარის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს: განცხადება მყიდველის გაკოტრების შესახებ, თუ შეუძლებელია მისი ადგილსამყოფელის მიკვლევა; სასარჩელო ვადა გასულია და სასამართლო წესით ამოღების შესაძლებლობა დაკარგულია, სასამართლო გადაწყვეტილებით მყიდველი მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდა თავისი ვალდებულების შესრულებისაგან. ასეთ შემთხვევაში უიმედო ვალების ჩამოწერა ნიშნავს, რომ დებიტორული დავალიანების ანგარიშის ნაშთი გადაიტანება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში როგორც ხარჯი, რადგან, ეს ნაშთი ამოუღებელი გახდა.”³

“თუ შემდგომში მოხდა ჩამოწერილი დავალიანების გადახდა, მაშინ ჯერ უნდა მოვახდინოთ მისი აღდგენა დებიტორული დავალიანების ანგარიშის დებეტში და საეჭვო მოთხოვნების კორექციის ანგარიშის კრედიტში სათანადო ბუღალტრული გატარებით, ხოლო შემდეგ კი უნდა აისახოს ფულის შემოსვლა – ფულადი საშუალებების ანგარიშის დებეტში და დებიტორული დავალიანების ანგარიშის კრედიტში. გარდა ამისა, უნდა მოხდეს საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა.”²

თავი 2. შპს „იფქლის“ მოთხოვნების ანალიზის შედეგები

2.1 შპს „იფქლის“ მოთხოვნების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი

“მოთხოვნების ანალიზის დროს შეისწავლება მოთხოვნების სტრუქტურა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ჯგუფების მიხედვით ცალ-ცალკე.

მოთხოვნების ანალიზის დროს საჭიროა შემდეგი საფეხურების გავლა:

- მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნების სტრუქტურული ცხრილების მომზადება
- მოთხოვნების დინამიკის გამოკვლევა
- დინამიკაში, მოკლევადიანი მოთხოვნების ზრდის ტემპების შედარება ფულადი თანხების, გაყიდვების, მოკლევადიანი ვალდებულებების და სხვა საინტერესო მაჩვენებლების ცვლილებების ტემპთან
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებების დინამიკის ცხრილის მომზადება
- დებიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდის დინამიკის შესწავლა
- უიმედო დებიტორული დავალიანებების დინამიკის ანალიზი
- ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების გამოკვლევა
- სათანადო დასკვნების გაკეთება და საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.”⁴

“დავუშვათ, სტრუქტურული ანალიზით ირკვევა, რომ მიმდინარე აქტივებში მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების პროცენტული წილი შემცირდა. ეს მოვლენა შეიძლება დადებითი იყოს იმ შემთხვევაში, თუ გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი გაიზრდება. სხვა შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში ეს ცვლილება იმას ნიშნავს, რომ გაყიდვები შემცირდა.

სტრუქტურულ ანალიზთან ერთად, დამატებით უნდა გაანალიზდეს ცალკეული სახის მოთხოვნები ვადიანობის მიხედვით - ხომ არ არის მოთხოვნების ამოღების ვადების

დარღვევის ან უიმედო მოთხოვნებად გადაქცევის საფრთხე. მსგავსი ცვლილებები უარყოფითად აისახება საწარმოს ფინანსურ სტაბილურობაზე.

მოთხოვნებში მოკლევადიანი მოთხოვნების მაღალი ხვედრითი წილი ზრდის კომპანიის გადახდისუნარიანობას.

სტრუქტურული განხილვის შემდეგ, როგორც წესი, საანალიზო მაჩვენებლების დინამიკა შეისწავლება. დინამიკური ანალიზის დროს გარდა მოთხოვნების დინამიკისა, მიზანშეწონილია მოხდეს შედარება მოთხოვნებისა და სხვა რომელიმე მაჩვენებლების დინამიკურ ტენდენციებს შორის. მაგალითად, მიმდინარე მოთხოვნების დინამიკა შედარდეს ფულადი თანხების, რეალიზაციიდან შემოსავლების, საკუთარი კაპიტალის, ვალდებულებებისა და სხვა მაჩვენებლების დინამიკასთან. შედგება შესაბამისი ცხრილი, სადაც მონაცემები გადმოიტანება ბუღალტრული ბალანსიდან და მოგება/ზარალის ანგარიშებიდან.⁴

დარიცხვის მეთოდის მიხედვით შესაძლოა, საწარმო მომგებიანი იყოს, მაგრამ აქტივებში არასაკმარისი ფულადი თანხების გამო დაბალი გადახდისუნარიანობა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, მომგებიანობა საკმარისი არ არის და აუცილებელია, კომპანიას შეეძლოს მისი ვალდებულებების დროული დაფარვა.

შემდეგ საფეხურზე უნდა მოხდეს სავაჭრო დებიტორული დავალიანებების არსებობის, ცვლილებების და მდგომარეობის ტენდენციების გამოკვლევა.

დებიტორული დავალიანებების ანალიზის ამოცანები

სამეწარმეო ციკლის პროცესები ერთმანეთთან ჯაჭვურად არის დაკავშირებული. მყიდველების სტიმულირებისათვის კომპანიები ყიდიან საქონელს ან მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით და აკონტროლებენ გადახდებს. ამისათვის ხელშეკრულებაში არის მითითებული:

- განაღდების ვადები;
- ფასდაკლების შეთავაზების პირობები;
- მოსალოდნელი საურავები.

მყიდველების მიერ ვადაგადაცილებაზე დაწესებული ჯარიმა ეხმარება საწარმოს მისი გადახდისუნარიანობის ზრდაში.

დებიტორული დავალიანებების ანალიზის ამოცანებია:

- მყიდველის გადახდისუნარიანობის შეფასება და სწორად შერჩევა
- დებიტორული დავალიანებების დაფარვის მდგომარეობის გამოკვლევა
- საექვო და უიმედო დავალიანებებით გამოწვეული რისკების შეფასება. ⁴

დებიტორული დავალიანებების თანამიმდევრული ანალიზი

დებიტორული დავალიანებების ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება;
- დებიტორული დავალიანებების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი და დასკვნების გაკეთება;
- დებიტორული დავალიანებების ვადიანობის განხილვა;
- უიმედო დავალიანებების არსებობის მიზეზების გამოკვლევა;
- დებიტორული დავალიანებების ინკასაციის (დაფარვის) პერიოდულობის მაჩვენებლების ანალიზი და ინტერპრეტაციები;
- დებიტორული დავალიანებების ინკასაციის დაჩქარების და რისკების შემცირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელებაზე მონიტორინგი. ⁴

უიმედო დავალიანების შესამცირებლად და საექვო მოთხოვნებიდან თანხის მისაღებად, ასევე ამ პროცესთან დაკავშირებული მატერიალური, დროითი და სხვა დანახარჯებისგან თავის ასარიდებლად საწარმოები მიმართავენ აუთსორსინგს, ისინი თანამშრომლობენ ისეთ ფაქტორინგულ კომპანიებთან, რომლებიც გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ მუშაობენ ამ მიმართულებით.

დებიტორული დავალიანებების მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლებია:

- დებიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი მიმდინარე აქტივებში;

- დებიტორული დავალიანებების სტრუქტურული და დინამიკური მაჩვენებლები;
- საექვო და უიმედო ვალების ხვედრითი წილი დებიტორული დავალიანებების თანხის მიმართ;
- დებიტორული დავალიანებების დაფარვის (ინკასაციის) პერიოდი დღეებში და დაფარვის ჯერადობა წელიწადში;
- დებიტორული დავალიანებების ლევერიჯის (რისკის ხარისხის) კოეფიციენტები.

დებიტორული დავალიანებების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორებია:

- კრედიტით გაყიდვების მოცულობა;
- დებიტორული დავალიანებების დაფარვის (უკან ამოღების) ხარისხი;
- მყიდველების გადახდისუნარიანობა;
- მენეჯმენტის უნარი, სწორად შეარჩიონ მყიდველები;
- საწარმოს პროდუქციის მოთხოვნა ბაზარზე;
- მიწოდებული პროდუქციის სამომხმარებლო თვისებები;
- ეფექტური კონტროლი დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე.


ვადიანობის მიხედვით დებიტორული დავალიანებები შეიძლება სამი სახის იყოს:

- ვადადაუმდგარი
- ვადადამდგარი
- ვადაგადაცილებული.”⁴

მენეჯმენტმა უნდა აკონტროლოს დებიტორული დავალიანებები როგორც დინამიკაში, ასევე სტრუქტურულად, გამოიძიოს მათი ცვლილების მიზეზი და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს მათი აღმკვეთი კონტროლისძიებები თითოეული ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების მიმართ.

ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ და საანგარიშო პერიოდში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების მიმოხილვა

“შპს „იფელი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 24 თებერვალს, რეგისტრაციის #3365/001 - შპს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:



საწარმო წარმოადგენს მეორე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება. საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. საწარმოს სტრუქტურა მოიცავს:



საწარმოს საინვესტიციო პოტენციალის განვითარების/ამაღლების მიზნით, 2017 წელს განხორციელდა საწარმოს რეორგანიზაცია, კერძოდ შპს „იფქლთან“ შპს „უძრავი ქონების“ მიერთების გზით. ასევე, საწარმოს კაპიტალში დამატებითი შენატანების სახით შეტანილია საინვესტიციო ქონება საერთო თანხით 3 396 425 ლარი. საანგარიშგებო პერიოდში დამატებული უძრავი ქონება კლასიფიცირებულია, გრძელვადიან საინვესტიციო ქონებად და არ წარმოადგენს გასაყიდად გამიზნულ აქტივს.

საწარმოს მიერ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. საწარმო წინა საანგარიშგებო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა. კორექტირება შეეხო მხოლოდ იმ უძრავი ქონების კლასიფიკაციას, რომელსაც საწარმო იყენებდა საიჯარო შემოსავლების მისაღებად. კორექტირების შედეგად აღნიშნული ქონება ძირითადი საშუალებების შემადგენლობიდან გადატანილია საინვესტიციო ქონების შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე, მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის კორექტირების თანხები გაუნაწილებელ მოგებაში ან, საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში აღიარებას არ დაექვემდებარა.

მიმდინარე აქტივების (პლასტმასის ტარა) გაუფასურების ხარჯმა 38978,75 ლარი შეადგინა. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე.

საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი აქვს პურპროდუქტების დაბრუნებას და მოძველებული პროდუქციის გაუფასურებას. მოძველებული პროდუქციის ღირებულების ჩამოფასება ხდება წმინდა სარეალიზაციო („ნეტო სარეალიზაციო“) ღირებულებამდე. პროდუქციის დაბრუნებიდან გაუფასურებით საანგარიშგებო პერიოდში მიღებულია ზარალი 110 959 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა შედეგმა შეადგინა 5,326 მლნ. ლარი მოგება. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე, და შეადგინა 16,667 მლნ ლარი. პარტნიორთა გადაწყვეტილებით იგეგმება წარმოების გაფართოება რეინვესტირების ხარჯზე.

2017 წლის 17 მარტის ხელშეკრულებით „ვითიბი ბანკი“-დან აღებულია კრედიტი 2,000,000 ლარის ოდენობით. კრედიტი აღებულია ორი წლის ვადით, წლიური საპროცენტო განაკვეთით - 9,8 %. კრედიტის თანხა მთლიანად გამოყენებულია საინვესტიციო ქონების შესაძენად - შესყიდულია 3 514 მ² მიწის ნაკვეთი. კრედიტი დაფარულია ვადამდე 2017 წლის ივნისში, პროცენტის სახით გადახდილია 35165 ლარი, ჯარიმა კრედიტის ვადამდე დაფარვისათვის გადახდილი არ არის, პირობითმა მოგებამ კრედიტის ვადამდე დაფარვიდან 91531 ლარი შეადგინა;

2017 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულებით საწარმოს სს „ვითიბი ბანკი“-დან გამოეყო საკრედიტო ხაზი 4 000 000 ლარის მოცულობით, საიდანაც საანგარიშგებო პერიოდში მიღებულია 2 918 495 ლარის კრედიტი. კრედიტის ვადა განისაზღვრა სამი წლის ვადით, წლიური საპროცენტო განაკვეთით 9,5 %. კრედიტის თანხით შეძენილია ძირითადი საშუალებები. საანგარიშგებო პერიოდში დაფარულია 1 090 084 ლარი, ხოლო პროცენტის სახით გადახდილია 33 029 ლარი.


საანგარიშგებო პერიოდში პარტნიორის მიერ უპროცენტო სესხის სახით საწარმოს ლიბერთი ბანკის ანგარიშზე შეტანილია 7 180 850 ლარი. საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის საკრედიტო და სასესხო დავალიანება 2 186 436 ლარს შეადგენდა.

საანგარიშგებო პერიოდში შემოსავალმა იჯარიდან 660 012 ლარი შეადგინა. “ 1


მოთხოვნების ანალიზი შპს „იფელის“ მაგალითზე

ცხრილი 1	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ფული და ფულის ეკვივალენტები	906099	443899	1290498
გადახდილი ავანსები	208488	89137	1989808
სავაჭრო მოთხოვნები	506733	620534	1099888
ვალდებულებები	3783144	483022	2725344
საკუთარი კაპიტალი	6398558	8894097	16667073
აქტივები	10181702	9377119	19392417

საანგარიშგებოს წინა ორი წლის განმავლობაში არასაგადასახადო მოთხოვნებში გადახდილი ავანსები თავდაპირველად შემცირდა 42%-ით და შემდეგ მკვეთრად გაიზარდა 22,3-ჯერ (1,900,671 ლარით) , ხოლო სავაჭრო მოთხოვნები გაიზარდა ჯერ 22.5%-ით და შემდეგ 77,2%-ით (479354 ლარით). ფულადი თანხები შემცირდა 49 %-ით და შემდეგ 2,9-ჯერ გაიზარდა (846,599 ლარით).



დებიტორული დავალიანების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში არის 5,7%-ს, საანგარიშგებოს წინა წელს შეადგენდა 6.6%-ს, ხოლო მისი ლევერიჯი 6.6%-დან 2,8%-მდე შემცირდა.



გაყიდვები საანგარიშგებო პერიოდში წინა წელთან შედარებით 6,7%-ით (1,737,284 ლარით) გაიზარდა. ვალდებულებები გაზრდილია 5.64-ჯერ (2,242,322 ლარით), საკუთარი კაპიტალი გაიზარდა 87%-ით (7 772 976 ლარით).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის გადახდისუნარიანობა შემცირდა, კომპანიას აქვს ფულის დეფიციტი.

ამონაგების ზრდაში კრედიტით გაყიდვებს უკავია (27.6%).

7151689

დ.დ.დაფ.= _____ ≈9

(2017) 0,5(1099888+620534)

ინკასაციის პერიოდი არის 44 დღე.

365

ინკ. პერ. = _____ ≈ 44 დღე

(2017) 8.31

7631043

დ.დ.დაფ.წ= _____ ≈14

(2016) 0,5(620534+506733)

365

ინკ. პერ. = _____ ≈ 27 დღე

(2016) 13.54

მთელი წლის განმავლობაში რეალიზაციიდან ნაღდი ანგარიშსწორებით და კრედიტით გაყიდვების იმავე თანაფარდობის პირობებში დებიტორული დავალიანების დაფარვის ჯერადობა შემცირებულია 39%-ით, ხოლო ინკასაციის პერიოდი გაზრდილია 63 %-ით. აღნიშნული გარემოება უარყოფითად აისახება კომპანიის ლიკვიდობაზე.

1099888

დ.დ.დაყ.კ. = _____ = 0.398;

(2017) 27656574

დებიტორული დავალიანების დაყოვნების კოეფიციენტი გაზრდილია 66.5 %-ით.

ამ მაჩვენებლებიდანაც ჩანს, რომ კომპანიის გადახდისუნარიანობა ეცემა და ფულადი საშუალებების დეფიციტი იზრდება.

$$\text{დ.დ.დაყ.კ.} = \frac{620534}{25919290} = 0.239$$

(2016)

2.2 სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანალიზის შედეგები

“დებიტორული დავალიანებების ინკასაციის (დაფარვის) ხარისხის შეფასებისთვის გამოიყენება ბრუნვადობის მაჩვენებლები:

- დებიტორული დავალიანებების ინკასაციის პერიოდი
- დაფარვის ჯერადობა წლის განმავლობაში.

(დ. დ. საშ. წლ. ნაშთი x 365)

$$\text{დ.დ.ინკ. პერ.} = \frac{\text{კრედ. გაყ. წ.}}{\text{დ. დ. საშ. წლ. ნაშთი}}$$

დებიტორული დავალიანებების ინკასაციის პერიოდი აჩვენებს დღეების რაოდენობას დავალიანების წარმოშობიდან დებიტორების მიერ მის დაფარვამდე.

დ. დ. საშ. ნაშთი

$$\text{დ.დავ.ინკ. პერ.} = \frac{\text{საშ. დღიური გაყ.}}{\text{დ. დ. საშ. წლ. ნაშთი}}$$

დებიტორული დავალიანების დაფარვის ჯერადობა წელიწადში გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

წლიური კრედიტით გაყიდვები

დ.დ. დაფარვის ჯერადობა წელ. = ----- ან

დ. დ. სამ. ნაშთი

365

= ----- ;

ინკ. პერიოდი დღ.

საწარმოსთვის უმჯობესია დაბალი იყოს ინკასაციის პერიოდის მაჩვენებელი, რადგან ეს იმის მიმანიშნებელია, რომ მყიდველებს დებიტორული დავალიანებების დაფარვისათვის ნაკლები დრო სჭირდებათ და პირიქით, დებიტორების ინკასაციის პერიოდის მაღალი მაჩვენებელი მიანიშნებს გაყიდვების კონტროლის არაეფექტურობაზე. ეს კოეფიციენტები უნდა გაანალიზდეს დარგში არსებულ საშუალო მაჩვენებლებთან ერთად.

შემდეგ ეტაპზე მოხდება დებიტორული დავალიანებების ინკასაციის პერიოდის მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი, რათა გამოვლინდეს, როგორი ტენდენციით ხასიათდებოდა ისინი განვლილი წლების განმავლობაში. მათი მერყეობის ხარისხის შესაფასებლად კი ვარიაციის კოეფიციენტი შეისწავლება. დინამიკური ანალიზის საფუძველზე გაკეთდება შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად საწარმოს შეუძლია დებიტორებისთვის ვალის დაბრუნების წერილით (ფაქსით ან ელ.ფოსტის მეშვეობით) შეხსენება; სატელეფონი ზარის გამოყენება, საქონლის მიწოდების შეწყვეტა, მიმართვა ვალების დაბრუნების სპეციალიზებული სააგენტოებისადმი (თუკი ასეთი არსებობს) და სასამართლოსთვის მიმართვა (ეს უკანასკნელი საბოლოო და უკიდურეს ღონისძიებას წარმოადგენს).

არსებობს დავალიანების დაფინანსების 2 მეთოდი:

- ფაქტორინგი და
- ანგარიშ-ფაქტურების დისკონტირება.

დებიტორული დავალიანებების ფაქტორული ანალიზისათვის გამოიყენება

- ჯაჭვური ჩასმის ხერხი
- კორელაციური ანალიზი. ” 4

ჯაჭვური ჩასმის ხერხის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითი:

	საანგარიშგებოს წინა წელი	საანგარიშგებო წელი	გადახრა
კრედიტით გაყ.	30700	45600	+14900
დ. დ. ნაშთი	3500	4500	+1000
დ. დ. ინკასაციის ჯერადობა	8,77	10,13	+1,36

I მწკრივში ყველა მაჩვენებლები საბაზისოა

$$30700 : 8,77 = 3500 \text{ ლარი}$$

II მწკრივში იცვლება I მაჩვენებელი:

$$45600 : 8,77 = 5200 \text{ ლარი}$$

$$\text{კრედიტით გაყიდვების ცვლილების გავლენა} = 5200 - 3500 = +1700 \text{ ლ}$$

III მწკრივში იცვლება ყველა მაჩვენებელი

საანგარიშგებო წლის იქნება:

$$45600 : 10,13 = 4502 \text{ ლარი}$$

დებიტორული დავალიანებების ინკასაციის ჯერადობის ცვლილების გავლენა:

$$4502 - 5200 = -698 \text{ ლარი .}$$

აქედან ჩანს, რომ კრედიტით გაყიდვები 14900 ლარით გაზრდამ გამოიწვია დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი ნაშთის ზრდა 1700 ლარით, ხოლო დებიტორული დავალიანებების დაფარვის ჯერადობის 16%-ით ზრდამ კი დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი ნაშთები 698 ლარით შეამცირა. აღნიშნული ცვლილება დადებითად აისახება საწარმოს საქმიანობაზე.

ამ მაჩვენებლებს შორის კავშირი დინამიკაში შესაძლებელია გამოითვალოს კორელაციისა და დეტერმინაციის კოეფიციენტებით.

დებიტორული დავალიანებების რისკის ხარისხის დასახასიათებლად შესაძლებელია შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება:

- საექვო ვალების ფარდობა დებიტორების რაოდენობასთან
- დებიტორების ნაშთების ფარდობა ფულად თანხებთან;
- დებიტორების ნაშთების ფარდობა შემოსავლებთან .

ამ მაჩვენებლების ზრდა ნიშნავს ფულადი ნაკადების შემცირებას და საწარმოს გადახდისუნარიანობის გაუარესებას. ამდენად, მათი დინამიკისა და მიზეზების შესწავლაც აუცილებელია .⁴

თავი 3. შპს „იფქლის“ ვალდებულებების ანალიზის შედეგები

3.1. შპს „იფქლის“ ვალდებულებების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი

“ვალდებულებების ანალიზის ამოცანებია:

- ვალდებულებების დასაბუთებულობის დადგენა
- ვალდებულებების ხანდაზმულობის გამოკვლევა
- ვალდებულებების დაფარვის მაჩვენებლების შესწავლა
- პროცენტური ვალდებულებების ანალიზი.

ვალდებულებების ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება და სამუშაო ცხრილების შედგენა;
- სტრუქტურული და დინამიკური ცხრილების შედგენა და კომენტარების გაკეთება;
- ვალდებულებების ვადიანობის შესწავლა;
- ვალდებულებების დაფარვის პერიოდის მაჩვენებლების დინამიკური და ფაქტორული ანალიზი;
- კრედიტუნარიანობის ალტმანის და სხვა ინდექსების გამოთვლა და ინტერპრეტაციები;
- ვალდებულებების დროულად დაფარვის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების მონიტორინგი.

ფინანსურმა მენეჯერმა უნდა გაანალიზოს ვალდებულებების სტრუქტურა და თითოეული მუხლის დინამიკა, მათი ცვლილების მიზეზები, ასევე ვალდებულებების დროული დაფარვა, რათა თავიდან აიცილოს მოსალოდნელი ჯარიმები.

შემდეგ ცალ-ცალკე შეისწავლება:

- სესხები;
- ვალდებულება მოწოდებიდან;
- საგადასახადო ვალდებულებები;
- ობლიგაციების გამოშვების ეფექტიანობა და
- ყველა სხვა დანარჩენი ვალდებულებები.

ასევე, შესწავლილი უნდა იქნეს სხვადასხვა მაჩვენებლები.

ფინანსური ლევერიჯის ერთ-ერთი კოეფიციენტია - ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან. ამ მაჩვენებლით შესაძლებელია შეფასდეს, როგორ იცვლებოდა (მერყეობდა) რისკები განვლილ პერიოდში. ეს კოეფიციენტი ერთს არ უნდა აღემატებოდეს; შეისწავლება მისი ვარიაციის კოეფიციენტი.

ვალდებულებების საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული
დაფარვის კოეფიციენტი = ----- ;
მთლიანი ვალდ.

ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, რამდენჯერ აღემატება საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფული მთლიან ვალდებულებებს.

მოზ.კაპ. ვალდ.
კონცენტრ. კ. = -----;
აქტ.

ეს კოეფიციენტი 0,5-ს არ უნდა აღემატებოდეს და დინამიკაში მცირდებოდეს.



გრძ. სეს.
გრძ. სეს. მოზ. კ. = -----;
გრძ. სეს. + საკ. კაპ.

გრძ. ვალდ.
გრძ. დაბ. სტრუქტ. კ. = ----- ;
გრძ. აქტ.


იგი გვიჩვენებს, კრედიტორის მიერ გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გრძელვადიანი სესხით. ” 4

ვალდებულებების ანალიზი შპს „იფქლის“ მაგალითზე

საანგარიშგებო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ვალდებულებების ოდენობა. მათში ძირითადი ნაწილი უკავია გრძელვადიან ვალდებულებებს.



საანგარიშგებოს წინა წელთან შედარებით, გაზრდილია სავაჭრო ვალდებულებები 2.08-ჯერ, სხვა ფინანსური ვალდებულებები 3,3-ჯერ, წარმოქმნილია გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 2 186 436 ლარის ოდენობით.



ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი შემცირებულია 81,1 %-ით.

27656574

ვალდ. დაფ.კ. = _____ = 10,15

2017 2725344

25919290

ვალდ. დაფ.კ. = _____ = 53,66

2016 483022

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი საანგარიშგებოს წინა ორი წლის განმავლობაში ჯერ მკვეთრად შემცირდა 86 %-ით, შემდეგ, 2.73-ჯერ გაიზარდა. ეს კოეფიციენტი ნაკლებია 0.5-ზე და დინამიკაში შემცირდა, რაც დადებითი მოვლენაა და ამცირებს გადახდისუუნარობის რისკს.

2725344

მოზ.კაპ.კონც.კ. = ----- = 0.1405

2017 19392417

2725344

მოზ.კაპ.კონც.კ. = ----- = 0.0515

2016 19392417

3783144

მოზ.კაპ.კონც.კ. = ----- = 0.3716

2015 10181702

საანგარიშგებო წელს გრძელვადიანი სესხების მოზიდვის კოეფიციენტი 11,6 %-ით გაიზარდა 2016 წელთან შედარებით. ხოლო 2015 წელთან შედარებით 65.9%-ით შემცირდა.

2186436

გრძ. სესხ. მოზ.კ = ----- = 0.116

2017 2186436 + 16667073

3291284

გრძ.სესხ. მოზ.კ = ----- = 0.34

2015 3291284 + 6398558

გრძელვადიანი დაბანდებების სტრუქტურული კოეფიციენტი საანგარიშგებო პერიოდში გაზრდილია 11,3%, რაც იმას ნიშნავს რომ კომპანიის გრძელვადიანი აქტივების 11.3 %-ში დაბანდებულია მოზიდული სახსრებით (სესხებით) მიღებული თანხა. 2015 წელთან შედარებით ეს კოეფიციენტი შემცირებულია ჯამში 65.1 %-ით.

2186436

გრძ.დაბ.სტრ.კ. = ----- = 0.113

2017 19392417

3291284

გრძ.დაბ.სტრ.კ. = ----- = 0.323

2015 10181702

2016 წლის მდგომარეობით კომპანიას გრძელვადიანი სესხი არ ერიცხებოდა.

ფინანსური ლევერიჯი სამი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი იყო 2015 წელს, ხოლო საანგარიშო პერიოდში 2016 წელთან შედარებით 3.01-ჯერ არის გაზრდილი.

2725344

ფინ.ლევ.კ.= ----- = 0.164

2017 16667073

483022

ფინ.ლევ.კ.= ----- = 0.054

2016 8894097

3783144

ფინ.ლევ.კ.= ----- = 0.591

2015 6398558

სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი ვალდებულებების მიმართ საანგარიშგებო პერიოდში წინა წელთან შედარებით შემცირდა 63,1%-ით, თუმცა წინა ორი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი ჯამში გაიზარდა 40,3%-ით და შეადგინა 14.1%.

385445

K კრ.დ./ვალდ. = ----- = 0.141

2017 2725344

სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ფარდობები აქტივებთან და საკუთარ კაპიტალთან შედარებით ინარჩუნებენ სტაბილურობას მათ შორის არსებული დიდი სხვაობის გამო და გასულ პერიოდთან შედარებით გაზრდილია შესაბამისად 0,65% და 11.1 %-ით.

$$K \text{ კრ.დ./ აქტ.} = \frac{385445}{19392417} = 0.01987$$

2017

ბოლო ორი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი ჯამში შემცირდა 46.9 % და 61.1%-ით და შეადგინა შესაბამისად 1,99% და 2,3%.

$$K \text{ კრ.დ./საკ.კ.} = \frac{385445}{16667073} = 0.0231$$

2017

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან გვიჩვენებს საწარმოს შესაძლებლობებს, საკუთარი სახსრებით დაფაროს ეს დავალიანება.

საანგარიშგებო პერიოდში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და მატერიალური სასაქონლო მარაგები ჯამში შეადგენს 13942412 ლარს, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 241913 ლარით. წლის განმავლობაში კრედიტით შესყიდვებსა და პირდაპირ ანგარიშსწორებას შორის იმავე თანაფარდობის პირობებში კრედიტით შესყიდვები საანგარიშგებო პერიოდში - 2017 წელს უდრის 11541956 ლარს და 2016 წელს 11341693 ლარს. ამ რიცხვების გამოყენებით შესაძლებელია კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდისა და წლის განმავლობაში დაფარვის ჯერადობის გამოთვლა .

$$\text{კრ. დავ. დაფ. პერ.} = \frac{0,5 * (385445+185182) * 365}{11541956} \approx 9 \text{ დღე}$$

2017

$$0,5 * (185182+381249) * 365$$

$$\text{კრ. დავ. დავ. პერ.} = \text{-----} \approx 9 \text{ დღე}$$

$$2016 \quad 11341693$$

$$365$$

$$\text{კრ. დავ. დავ. რ.} = \text{-----} \approx 41 \text{ ჯერ}$$

$$2017 \quad 9.0226845$$

$$365$$

$$\text{კრ. დავ. დავ. რ.} = \text{-----} \approx 40 \text{ ჯერ}$$

$$2016 \quad 9.114482071$$

ამ მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ საანგარიშგებო პერიოდში კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი და დაფარვის ჯერადობა წელიწადში თითქმის არ შეცვლილა.

კრედიტორული დავალიანების დაფარვის ჯერადობის კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებლის მიხედვით, საწარმოს კრედიტორული დავალიანებების დაყოვნების კოეფიციენტი მცირედ გაუმჯობესდა და შემცირდა 1 %-ით.

$$0,5 * (385445+185182)$$

$$\text{კრ. დავ. დაყ. კ.} = \text{-----} = 0.02472$$



$$2017 \quad 11541956$$

$$0,5 * (185182+381249)$$

$$\text{კრ. დავ. დაყ. კ.} = \text{-----} = 0.02497$$

$$2016 \quad 11341693$$

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას წარმოექმნა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 2 186 436 ლარის ოდენობით. გასულ პერიოდში გრძელვადიანი სესხი არ ირიცხებოდა. 2015 წელთან შედარებით, გრძელვადიანი სესხი შემცირდა 33,7 %-ით.



გრძელვადიანი სესხების წილი აქტივებში შეადგენს 11.3%-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ აქტივების 11.3% დაფინანსებულია კრედიტორის მიერ (გრძელვადიანი სესხით). წინა წელს ეს მაჩვენებელი ნულის ტოლი იყო, ხოლო 2015 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი შემცირებულია 65.1%-ით.

2186436

$$K \text{ გრძ.ს./აქტ} = \frac{2186436}{19392417} = 0.113$$

2017 19392417

3291284

$$K \text{ გრძ.ს./აქტ} = \frac{3291284}{10181702} = 0.323$$

2015 10181702

გრძელვადიანი სესხების წილი საკუთარ კაპიტალში შეადგენს 11,3%-ს. წინა წელს ეს მაჩვენებელი ნულის ტოლი იყო, ხოლო საანგარიშგებოს წინა ორი წლის განმავლობაში რისკიანობის ეს მაჩვენებელი გაუმჯობესებულია და შემცირებულია 74,5%-ით.

2186436

$$K \text{ გრძ.ს./ს.კ.} = \frac{2186436}{16667073} = 0.131$$

2017 16667073

3291284

$$K \text{ გრძ.ს./ს.კ.} = \frac{3291284}{6398558} = 0.514$$

2015 6398558

საანგარიშგებო პერიოდში კრედიტორის მიერ გრძელვადიანი სესხით დაფინანსებულია ძირითადი საშუალებების 29 % , წინა 2 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი გაუმჯობესებულია და შემცირებულია 40,2 %-ით.

2186436


$$K \text{ გრძ.ს./ძირ.ს.} = \frac{2186436}{7552009} = 0.29$$

2017 7552009

3291284

$$K \text{ გრძ.ს./ძირ.ს.} = \frac{3291284}{6796238} = 0.484$$

2015 6796238



2016 წელს საწარმოს არ ერიცხებოდა გრძელვადიანი სესხი. 2017 წელს საწარმოს არ ერიცხებოდა მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები, ხოლო გრძელვადიანი ვალდებულებები კომპანიის ვალდებულებების 80,2%-ს იკავებს, რაც საყურადღებოა, თუმცა 2015 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაუმჯობესებულია და შემცირებულია 7,8 %-ით.

2186436

$$\frac{\text{მოზ.კაპ.სტრ.კ.}}{2017} = \frac{2186436}{2725344} = 0.802$$

3291284

$$\frac{\text{მოზ.კაპ.სტრ.კ.}}{2015} = \frac{3291284}{3783144} = 0.87$$

საანგარიშგებო პერიოდში პროდუქციის დაბრუნებიდან გაუფასურებით საანგარიშგებო პერიოდში მიღებული ზარალი შეადგენს ამონაგების 0,4 %-ს, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

110 959

$$K_{\text{დაბრ./შემ.}} = \frac{110959}{27656574} = 0.004$$

2017 27656574

საანგარიშგებო პერიოდში დაბანდებული ყოველი ერთი ლარის რეალიზაციის მისაღწევად სესხის სახით დაბანდებულია 0,08 ლარი. წინა პერიოდში ეს მაჩვენებელი ნულის ტოლი იყო.

2186436

$$K_{\text{სესხ.შემ.დატვ.}} = \frac{2186436}{27656574} = 0.079$$

2017 27656574

საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ყოველი ერთი ლარის დანახარჯის მისაღწევად სესხის სახით საჭირო იყო 0,1 ლარი. წინა პერიოდში ეს მაჩვენებელიც ნულის ტოლი იყო.

2186436

$$K_{\text{სესხ.საოპ.ხ.}} = \frac{2186436}{27656574-5245375} = 0.098$$

2017 27656574-5245375

პროცენტის რისკიანობის მაჩვენებელი საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 1,3%-ს. წინა საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურ ხარჯებში საპროცენტო ხარჯების იმავე წილის პირობებში, საანგარიშგებოს წინა წელთან შედარებით, სესხის საპროცენტო რისკი გაუმჯობესებულია და შემცირებულია 53 %-ით.

35165 +33029

$$\text{პროცენტის ლევერიჯი} = \frac{35165 + 33029}{5245375} = 0.013$$

2017 5245375

119236

$$\text{პროცენტის ლევერიჯი} = \frac{119236}{4293080} = 0.0278$$

2016 4293080

$$\text{პრ. დაფ. კ.} = \frac{\text{-----}}{33029 + 35165} = 405$$

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი გვიჩვენებს, აქვს თუ არა საწარმოს საკმარისი ფული სესხის საპროცენტო ხარჯის დასაფარავად ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს ფინანსური დამაბულობა.

$$1.57$$

$$\text{სესხის ეფექტიანობა} = \text{-----} = 2.36;$$

$$0.66$$

საანგარიშგებოს პერიოდის წინა 2 წლის განმავლობაში აქტივების მომგებიანობის პროცენტული ცვლილება 2.36-ჯერ აღემატება სესხების პროცენტულ ცვლილებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია ეფექტიანად იყენებს აღებულ სესხებს.

3.2. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ანალიზის შედეგები

“სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადები განსხვავებულია დარგების მიხედვით.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ანალიზის ამოცანებია:

- სავაჭრო კრედიტის პირობების ოპტიმალურობის შეფასება;
- საწარმოს კრედიტუნარიანობის შეფასება;
- კრედიტორული დავალიანებების განაღდების მდგომარეობის შეფასება;
- კრედიტორული დავალიანებების განაღდების სტაბილურობის დონისძიებების შემუშავება;

სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება და დაჯგუფება. ანალიზური ცხრილების შედგენა;
- კრედიტორული დავალიანებების სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა;

- ვადიანობის ანალიზი;
- გადახრების ანალიზი;
- განაღდების (გადახდის) მდგომარეობის ანალიზი;
- დროულად დაფარვის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების მონიტორინგი.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების არსებობისა და მდგომარეობის მაჩვენებლებია:

- სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი ვალდებულებების მიმართ;
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ფარდობა აქტივებთან და საკუთარ კაპიტალთან ცალ-ცალკე;
- მომწოდებლებისადმი დავალიანებების დაფარვის პერიოდისა და დაფარვის ჯერადობის მაჩვენებლები;
- მომწოდებლებისადმი დავალიანებების დაფარვის დაყოვნების კოეფიციენტი და სხვა.

კრედიტორული დავალიანების ნაშთების ცვლილებაზე მოქმედებს:

- კრედიტით შესყიდვების მოცულობა და ვადები
- საწარმოს გადახდისუნარიანობა (ლიკვიდობა)
- ვალდებულებების დაფარვის სიჩქარე
- დებიტორული დავალიანებების ამოღების დროულობა
- კრედიტორული დავალიანებების მართვის ხარისხი.

საწარმომ უნდა აკონტროლოს კრედიტორული დავალიანების დროული დაფარვა იმისათვის, რომ საწარმომ არ დაკარგოს დისკონტი, მომწოდებელთა კეთილგანწყობა და

არ გაიუარესოს მომავალი გაყიდვების ხელსაყრელი პირობები. შესაძლოა, საწარმომ ვალდებულებების დარღვევის გამო დაკარგოს მომწოდებლები.

ანალიზის დროს შეისწავლება კრედიტორული დავალიანების დაფარვის მაჩვენებლები, როგორცაა:

- დაფარვის პერიოდი
- დაფარვის ჯერადობა წელიწადში
- დაყოვნების კოეფიციენტი.

კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი აჩვენებს, საშუალოდ რამდენი დღე სჭირდება საწარმოს მომწოდებელთა დავალიანებების დასაფარად წელიწადში.

$$\text{მოწ. დავ. საშ. ნაშთი} * 365$$

$$\text{კრ. დავ. დაფ. პერ.} = \text{----- ან}$$

კრ. შესყ.

$$\text{სავაჭრო კრ. დ. საშ. ნაშთი}$$

$$\text{კრ. დ. დაფ. პერ.} = \text{-----}$$

დღიური შესყ.

დღიური შესყიდვა უდრის წლიური შესყიდვების ფარდობას 365 დღეზე.

კრედიტორული დავალიანებების დაფარვის ჯერადობა აჩვენებს, წელიწადში რამდენჯერ იხდის საწარმო მომწოდებელთა დავალიანებებს.

$$\text{კრ. შესყ. წ.}$$

$$365$$

$$\text{კრ. დ. დაფ. ჯერადობა.} = \text{-----} = \text{-----}$$

მომწ. დ. საშ. ნაშთი

ვალდ. დაფ. პერ

ამ კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელი არის საწარმოს კრედიტორული დავალიანებების დაყოვნების კოეფიციენტი. ⁴

კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდის ზრდა, იწვევს მოწოდებიდან წარმოშობილი ვალდებულებების ნაშთების ზრდას, რაც უარყოფითი მოვლენაა. ხოლო, დაფარვის ჯერადობის ზრდა - პირიქით, ამცირებს კრედიტორული დავალიანებების ნაშთებს და დადებითი მოვლენაა. კრედიტით შესყიდვების ზრდა კი იწვევს კრედიტორული დავალიანებების მოსალოდნელ ნაშთებს. ვალდებულებების ანალიზის დროსაც გამოიყენება:

- ჯაჭვური ჩასმის ხერხი
- კორელაციის კოეფიციენტი
- დეტერმინაციის კოეფიციენტი.

მიმდინარე ვალდებულებები გავლენას ახდენს წმინდა მიმდინარე აქტივების სიდიდეზე. მაჩვენებლების დინამიკის შესასწავლად იყენებენ კორელაციისა და დეტერმინაციის კოეფიციენტებს. საილუსტრაციოდ განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითი:

წლები	კრ. დავ. ნაშთი ლ	კრ. დავ. დაფ. ჯერადობა
2014	1000	93
2015	1100	82
2016	1350	68
2017	1100	85
2018	2100	47

მოცემულ შემთხვევაში დამოუკიდებელი ცვლადი არის კრედიტორული დავალიანების დაფარვების ჯერადობა (x), ხოლო დამოკიდებული ცვლადი არის კრედიტორული დავალიანებების ნაშთები (y).

წლები	x	y	xy	x ²	y ²
2014	93	1000	93000	8649	1000000
2015	82	1100	90200	8724	1210000
2016	68	1350	91800	4624	1822500
2017	85	1100	93500	7225	1210000
2018	47	2100	98700	2209	4410000
Σ	375	6650	467200	31431	9652500

მაჩვენებლების დინამიკაში მერყეობის შესაფასებლად გამოიყენება საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტები.

$$X \text{ საშ.} = 375 : 5 = 75.$$

მიმდინარე ვალდებულებები გავლენას ახდენს წმინდა მიმდინარე აქტივების სიდიდეზე. კრედიტორები წელიწადში საშუალოდ 75-ჯერ ფარავდნენ დავალიანებებს.

$$\text{საშ. კვ. გად.} = \sqrt{31431:5 - 75^2} = 25,71$$

$$\text{ვარ. კოფ. (V)} = (25.71 * 100) / 75 = 21.56\%.$$

მაგალითზე, როგორც ჩანს 21,56%-იანი გაბნევა მაღალი მაშვენებელია. კრედიტორების დავალიანებების დაფარვის პერიოდულობა საკმაოდ მერყეობდა და საყურადღებოა მენეჯმენტისთვის.

კორელაციის კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$n * \sum xy - \sum x * \sum y$$

$$r = \frac{\dots}{\dots}$$

$$[n * \sum x^2 - (\sum x)^2] [n * \sum y^2 - (\sum y)^2]$$

$r = -0.97$ ანუ -97% ,

მაჩვენებლებს შორის კავშირი არის ძალიან მაღალი და უკუპროპორციული.

კრედიტორული დავალიანებების დაფარვის სიხშირის ზრდა წელიწადში გამოიწვევს კრედიტორული დავალიანებების მოსალოდნელი ნაშთების შემცირებას და პირიქით.

დეტერმინაციის კოეფიციენტი არის:

$$D = (-0.97)^2 = 0.94 = 94\%$$

ხუთი წლის განმავლობაში კრედიტორული დავალიანებების ნაშთების ცვლილების 94% გამოიწვია მათი დაფარვის ჯერადობის ცვლილებამ. დანარჩენი 6% -ის ცვლილება კი სხვა ფაქტორებით იყო განპირობებული.

3.3 სასესხო ვალდებულებების ანალიზი

სესხების ანალიზის ამოცანებია:

- სესხების დაფარვის დროულობის შეფასება;
- ვადაგადაცილებული სესხების შეფასება;
- სესხების გამოყენების მიზნობრივი ხარჯვის შესწავლა;
- სესხების ოპტიმალურობის დადგენა;
- სესხების ეფექტის დადგენა;
- პროცენტის რისკის შეფასება;

სესხების ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება, დაჯგუფება და ანალიზური ცხრილების მომზადება;
- სესხების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი;
- სესხების დაფარვისა და გამოყენების კოეფიციენტების დინამიკის შესწავლა;

- პროცენტის დაფარვის მდგომარეობის შესწავლა;
- სესხების შეუფერხებელი დაფარვის ღონისძიებების შემუშავება და მონიტორინგი მათ განხორციელებაზე.

საწარმოში სესხების არსებობისა და გამოყენების მაჩვენებლებია:

- სესხების ხვედრითი წილი აქტივებში და დინამიკა;
- სესხების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან;
- პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი;
- პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი;
- პროცენტის ლევერიჯი;

სასესხო დავალიანებების მოცულობის ცვლილებაზე და სესხების რისკებზე მოქმედი ფაქტორებია:

- სესხების დაფარვის დროულობა და ვადები;
- საწარმოს გადახდისუნარიანობის დონე (ლიკვიდობის ხარისხი);
- საწარმოს მომგებიანობა;
- საბანკო-საკრედიტო პოლიტიკის ცვლილება;
- პროცენტის რისკების დონე;
- სესხების მართვის ეფექტიანობის დონე.

ფინანსურმა მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს სესხების (მათ შორის ვადაგადაცილებული სესხების) სტრუქტურული და დინამიკური მაჩვენებლები, მათი ცვლილებების მიზეზები და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს დროული რეაგირება. მას შეუძლია სესხების დაკავშირება სხვა მაჩვენებლებთან და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

სესხების ზრდას თან უნდა ახლდეს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, წინააღმდეგ შემთხვევაში სესხების გამოყენების ეფექტი შეიძლება განულდეს.

საწარმოში გამოყენებული სესხების ეფექტიანობის შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა კოეფიციენტები:

გრძ. ვალდ.

მოზ. კაპ. სტრუქტ. კ. = -----

სულ ნასესხები კაპ.

ამ კოეფიციენტის მეშვეობით შესაძლებელია ისეთი ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა, რომლის დროსაც საპროცენტო ხარჯები იქნება მინიმალური.

გარე ორგანიზაციები განსაზღვრავენ ფინანსურ წერტილს, საწარმოს სესხტევადობის ზღვარს, რომლის შემდეგაც არც ერთი გამსესხებელი სესხს აღარ გასცემს.

პროცენტის ლევერიჯი არის პროცენტის რისკის მაჩვენებელი.

წმ. წ. საპრ. ხ.

პრ. ლევერიჯი = -----

საოპ. მოგება

პრ. ხარჯი (არის წმ. საპრ. ხარჯი)=საპრ. ხ. - საპრ. შემ.

პროცენტის ლევერიჯი 1-ზე ნაკლები და დინამიკაში კლებადი უნდა იყოს.

საოპ. საქმ. მილ. ფული - წლ. მოგ. გად.

პრ. დაფ. კ. = -----

წლ. საპრ. ხ.

იგი იმის მაჩვენებელია, საწარმოს შეუძლია თუ არა სესხის საპროცენტო ხარჯის დაფარვა ფინანსური დამაბულობის გარეშე. ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი უნდა იყოს.

სესხები

სესხით შემ. დატვ. კ. = _____ ;

ამონაგები

იგი გვიჩვენებს ყოველი ერთი ლარის რეალიზაციის მისაღწევად აღებული სესხის ოდენობას.

საპროცენტო ხარჯის ფარდობა საოპერაციო მოგებასთან ახასიათებს, საოპერაციო მოგების ყოველი ერთი ლარის დატვირთვას საპროცენტო ხარჯებით. ეს კოეფიციენტი 1-ზე ნაკლები და დინამიკაში კლებადი უნდა იყოს.

აქტივ.მომგ. პრ. ცვლილება

სესხის ეფექტ. = -----

სესხის პრ. ცვლილება

ეს მაჩვენებელი 1-ზე მეტი უნდა იყოს და დინამიკაშიც იზრდებოდეს.

მოცემული კოეფიციენტები საწარმოს ფინანსურ რისკებსაც ახასიათებენ. ანალიზის დროს გამოკვლეული უნდა იქნეს ამ მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციები დინამიკაში, ვარიაციის და სხვა კოეფიციენტების გამოყენებით. ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, საწარმოს მენეჯმენტს შეუძლია შეიმუშაოს დამატებითი სესხის მოზიდვის ან სესხის აღების შეზღუდვის პოლიტიკა.”⁴

დასკვნა

საანგარიშგებო პერიოდში შპს „იფქლში“ მკვეთრად არის გაზრდილი გადახდილი ავანსები და ვალდებულებები. დებიტორული დავალიანების დაფარვის ჯერადობა შემცირებულია, ხოლო ინკასაციის პერიოდი გაზრდილია. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის გადახდისუნარიანობა შემცირდა, კომპანიას აქვს ნაღდი ფულის დეფიციტი.

ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი შემცირებულია, ხოლო მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი გაზრდილია. მთლიანი ვალდებულებების უმეტესი ნაწილი უკავია გრძელვადიან ვალდებულებებს. საანგარიშგებო პერიოდში მინიშვნელოვნად არის გაზრდილი ფინანსური ლევერიჯი. აღნიშნული გარემოებებიც უარყოფითად აისახება კომპანიის ლიკვიდობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშგებო პერიოდში წარმოქმნილია დიდი ოდენობით გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, აქტივების მომგებიანობის პროცენტული ცვლილება აღემატება სესხების პროცენტულ ცვლილებას, რაც იმას ნიშნავს, რომ „შპს იფქლი“ ეფექტიანად იყენებს აღებულ სესხებს.

რეკომენდაციები

შპს „იფელის“ გადახდისუნარიანობის ამაღლებისთვის უნდა გატარდეს ღონისძიებები დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. ეს შესაძლებელია დებიტორებთან ხელშეკრულების პირობების, მყიდველების შერჩევის კრიტერიუმების ან ვადაგადაცილებებზე სანქციების გამკაცრების გზით.

დებიტორული დავალიანებიდან თანხის ამოღების მიზნით, ხელმძღვანელობას შეუძლია მიიღოს ფაქტორინგული კომპანიების მომსახურეობა ან უკიდურეს შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს.

ფინანსური ლევერიჯის შესამცირებლად, მენეჯმენტმა უნდა შეამციროს აღებული სესხების ოდენობა და სხვა გზით მოიზიდოს დამატებითი სახსრები. ეს შესაძლებელია რეინვესტირებით, დამატებითი შემოსავლების მოზიდვით და პარტნიორთა შენატანების გაზრდით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ექვთიმიშვილი ს. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში შპს „იფელი“-ს მენეჯმენტისთვის (საიდენტიფიკაციო კოდი N200179118) 2018.
2. თევდორაძე მ. კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2013.
3. მაისურაძე მ. მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) კორექტირების შედეგების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2008, №21, 48 გვ.
4. ჭილაძე ი. ფინანსური აღრიცხვა. თბილისი, 2018.
5. ჯალაღონია დ. „თამასუქით განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა“. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, თბილისი, 2010, №14-15, 1 გვ
6. apex ბუღალტრული აღრიცხვა 2013

დანართი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and
Business

Luka Bzukashvili

Issues of receivables and liabilities analysis on the example of
Ltd. “Ipkli“

Master's program in Business Administration

Thesis is performed to obtain the academic degree of Master of Business
Administration



Supervisor: Assistant Professor

Lia Kozmanashvili

Tbilisi

2020

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი) ¹

	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	906099	443899	1290498
გადახდილი ავანსები	208488	89137	1989808
მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	733572	543263	468876
სავაჭრო მოთხოვნები	506733	620534	1099888
საინვესტიციო ქონება	156640	153538	6363040
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი	29261	19543	0
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	362221	339781	339781

სხვა საგადასახადო აქტივი	235409	132585	42051
სხვა მიმდინარე აქტივები	213808	287086	212827
სხვა არამატერიალური აქტივები	33233	33233	33639
ძირითადი საშუალებები	6796238	6714520	7552009
სულ აქტივები	10181702	9377119	19392417

ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	381249	185182	385445
სხვა ფინანსური ვალდებულებები	0	15600	51000
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	39945	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1695	1695	300
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3291284	0	2186436

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	68971	280545	102163
სულ ვალდებულებები	3783144	483022	2725344
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში)	757140	757140	4153565
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	5405615	7901154	12277705
სხვა რეზერვები	235803	235803	235803
სულ საკუთარი კაპიტალი	6398558	8894097	16667073
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10181702	9377119	19392417

საზოგადოების საქმიანობის შედეგები

	2016 წელი	2017 წელი
ამონაგები	25919290	27656574
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-13157236	-13473536
პერსონალის ხარჯები	-5619822	-5520767

სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-426035	-730714
საკონსულტაციო ხარჯი	-8384	-3000
სარეიტინგო მომსახურების ხარჯი	0	-1584
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-61270	-176543
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-6926	-8429
იჯარის ხარჯი	-1178	-1490
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-540750	-557123
ცვეთა და ამორტიზაცია	-1150582	-1179159
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-654027	-758854
საოპერაციო მოგება	4293080	5245375
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება: სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე	-118503	-149938

წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	-14626	-1993
სხვა ფინანსური შემოსავალი	61030	116178
სხვა ფინანსური ხარჯი	-150495	-86072
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-75734	240329
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	3994752	5363879
მოგების გადასახადი	-599213	-37896
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	3395539	5325983
შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება/(ზარალი)	3395539	5325983

ფულადი ნაკადების მოძრაობა

	2016 წელი	2017 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5241820	6279633
წმინდა ფულადი სახსრები	-1474842	-6749872

საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-4218037	1319176
სავალუტო კურსის ეფექტი	-11141	-2338
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-462200	846599
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	906099	443899
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	443899	1290498

კაპიტალში ცვლილება

	კაპიტალი	ძირითადი საშუალ. გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სხვა რეზერვები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	757 140	0	5 405 615	235 803	6 398 558
მოგება / (ზარალი)	X	X	3 395 539	X	3 395 539
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	X	X	X	X	0

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	0	0	3 395 539	0	3 395 539
დივიდენდის გამოცხადება	X	X	- 900 000	X	- 900 000
სხვა	X	X	X	X	0
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	757 140	0	7 901 154	235 803	8 894 097
მოგება / (ზარალი)	X	X	5 325 983	X	5 325 983
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	X	X	X	X	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	0	0	5 325 983	0	5 325 983
წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	662 500	0	0	0	662 500
საწარმოთა გაერთიანება	2 733 925	0	0	0	2 733 925
დივიდენდის გამოცხადება	X	X	- 949 432	X	- 949 432
სხვა	X	X	X	X	0
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	4 153 565	0	12 277 705	235 803	16 667 073